სასამართლო დარბაზი

# გახმაურებული მკვლელობის გაუხმაურებელი დეტალები

ხათუნა ჯანგირაშვილი

საზარელი მკვლელობა, რომელიც ერთი წლის წინ დიღომში მოხდა, დიდი მითქმა-მოთქმისა და მსჯელობის საგნად იქცა. საკუთარ ბინაში, ტახტის სათავსოში ჩამარხული ცოლ-ქმრის გვამები პოლიციამ მკვლელობიდან მეხუთე დღეს აღმოაჩინა. მკვლელობის ავტორად და შემსრულებლად გამოძიებამ ოცი წლის არჩილ ძეგველიშვილი დაასახელა და ბრალიც წაუყენა. ხალხს თავისი ვერსიები ჰქონდა მომხდართან დაკავშირებით, გამოძიებამ კი თავისი თქვა.

**- არ ვიცი... არ მახსოვს...**

ძირითადად ასეთ პასუხებს აძლევდა სასამართლო გამოძიებას გუშინდელ პროცესზე დედ-მამის მკვლელობაში ბრალდებული განსასჯელი არჩილ ძეგველიშვილი, რომელმაც წინასწარი ძიების დროს დანაშაული მთლიანად აღიარა და თავი დამნაშავედ ცნო.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, არჩილ ძეგველიშვილს ხშირად ჰქონდა უსიამოვნება მშობლებთან, რაც ბანქოში წაგებულ და ტოტალიზატორ "აჭარაში" დახარჯულ თანხებს უკავშირდებოდა. მშობლების მოთხოვნა, მევალეებს შეხვედროდნენ და სიტუაცია გაერკვიათ, არჩილ ძეგველიშვილმა შეურაცხყოფად მიიღო და მშობლების მოკვლა გადაწყვიტა, მძინარე მშობლებს თავზე დაადგა და სანადირო ორლულიანი თოფით ჯერ მამას ესროლა გულმკერდის არეში, შემდეგ - დედას. "ვინაიდან მამა ჯერ კიდევ ხრიალებდა, სანადირო თოფში ახალი ტყვია ჩადო და მამამისს კიდევ ერთხელ თავში ესროლა," – ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში, რომლის მიხედვითაც, არჩილ ძეგველიშვილმა მეორე დღეს მშობლების გვამები გვერდზე ოთახში, ტახტის შიდა სათავსოში მოათავსა და ტახტი ქვიშით ამოავსო. იმავე დღეს სისხლიანი ნივთები მინდორში წაიღო და დაწვა. გამოძიება იმასაც ამტკიცებს, რომ ძეგველიშვილს მშობლების უძრავ-მოძრავი ქონების დაუფლების დიდი სურვილი ჰქონდა.

გუშინდელ ზედმეტად დაძაბულ და უარყოფითი ემოციებით დატვირთულ პროცესზე, რომელიც, განსასჯელის ისტერიული და პრეტენზიული მოთხოვნის გამო, ვიდეოკამერებისა და ფოტოკორესპონდენტებისთვის დახურული აღმოჩნდა, არჩილ ძეგველიშვილმა ვერ თუ არ გაიხსენა ექვმიტანილად და ბრალდებულად დაკითხვის ოქმების შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარა – ჩემი ხელით არის დაწერილიო. გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები უარყო და სასამართლოს განუცხადა, კარგი მშობლები მყავდა, რატომ ჩავიფიქრებდი მათ დახოცვასო. თუმცა, პროკურორის მიერ დასმულ შეკითხვებზე ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იძლეოდა. მონოტონურად იმეორებდა, რომ მამა მას ძალიან ხშირად ეჩხუბებოდა და სცემდა. **"ორი წლის ბავშვივით მტუქსავდნენ, მამცირებდნენ, სახლში დაგვიანებისთვის მირტყამდნენ. იმ საღამოს ოცი ლარი ვითხოვე, საკურსოს ქსეროქსზე გადასაღებად მჭირდებოდა. ამას მოჰყვა ჩხუბი, მამაჩემი გამომეკიდა და მცემდა, მე უცებ მისი სანადირო თოფი ავიღე და ორჯერ გავისროლე, თავიდან ვერ მივხვდი, დედაჩემს მოხვდა თუ მამაჩემს. ფეხზე რომ აღარ ადგნენ, მაშინ მივხვდი, რომ დაიხოცნენ",** - ასე ახსნა მომხდარი განსასჯელმა. მოსამართლეც და პროკურორიც ბევრს ეცადნენ, გაერკვიათ, რანაირად მოხვდა ორლულიანი თოფიდან მესამედ გასროლილი ტყვია ვაჟა ძეგველიშვილს, მაგრამ განსასჯელისგან პასუხი ვერ მიიღეს.

პროცესზე მოწმედ დაკითხულმა ნინო ძეგველიშვილმა – განსასჯელის დამ, რომელსაც გამოძიებამ დანაშაულში თანამონაწილეობა ვერ დაუმტკიცა, იმდენად მშვიდად და აუღელვებლად გაიხსენა ერთი წლის წინ მის ოჯახში დატრიალებული საშინელი ამბავი, რომ მოსამართლემ დიდი ბოდიშის მოხდით ჰკითხა, განიცადა თუ არა მშობლების სიკვდილი და, საერთოდ, უყვარდა თუ არა ისინი. ამ შეკითხვას განსასჯელის დის საშინელი აღშფოთება მოჰყვა: **"საქმისთვის რამე მნიშვნელობა აქვს, როგორ განვიცადე მე ეს ყველაფერი? გადასარევი მშობლები მყავდა და ძალიანაც მიყვარდნენ... განვიცადე ისე, როგორც შემეძლო... მამა მომთხოვნი და მკაცრი იყო. ყველა წვრილმანზე ეჩხუბებოდა აჩიკოს. გამეტებით, დაუნდობლად სცემდა ხოლმე. იმ ღამეს დედამ ჩემი ძმა მამასთან ჩაუშვა, რასაც, როგორც ყოველთვის, მამაჩემის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ჩემთვის ეს ყველაფერი იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ არც დავინტერესებულვარ, რა ხდებოდა, შევედი ჩემს ოთახში და დავიძინე..."** – განუცხადა სასამართლოს განსასჯელის დამ. მისივე მონაყოლით, მკვლელობის ღამეს მისი ძმა მძინარეს დაადგა თავზე, მოუყვა, რომ მშობლები დახოცა და დას სთხოვა, რამდენიმე დღით სხვაგან წასულიყო. მეორე დილით ნინო ძეგველიშვილი ისე წავიდა მეგობართან, რომ მშობლების ცხედრები არ უნახავს. "აჩიკომ მითხრა, არ გირჩევ მათ ნახვას, ჯობს, როგორებიც იყვნენ, ისეთები დაგამახსოვრდნენო. დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო და სურვილი არ მქონდა, სისხლიანი მენახა," – მშვიდად უხსნიდა სასამართლოს მოწმე, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში სახლში არ დაბრუნებულა და არც მოუნდომებია, გაერკვია, რა მოხდა ოჯახში. მეოთხე დღეს, ძმამ მეგობართან მყოფი და სახლში დააბრუნა და უთხრა, რომ მის ოთახში დახოცილი მშობლების გვამები ეწყო.

**"მე გასროლის ხმა არ გამიგია, მეძინა. როგორ დახოცა ისინი, ზუსტად არ უთქვამს, უბრალოდ, მითხრა, რომ მამას ორჯერ ესროლა. ხომ გახსოვს, რა დღეში ვიყავი, ახლა ველარ მეჩხუბებიანო, - მითხრა. ტახტში თუ მოათავსა გვამები, ნამდვილად არ ვიცოდი. პოლიცია რომ მოვიდა, აჩიკოს ოთახში ჩავიკეტეთ და კარი არ გავაღეთ, რამდენიმე წუთში პოლიციელები აივნიდან გადმოვიდნენ. მე მეზობელთან ჩამიყვანეს და იქ დამკითხეს",** - ისე უემოციოდ და აუღელვებლად იხსენებდა ამ ყველაფერს განსასჯელის და, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, თან ძმას ამართლებდა - ძალიან ნერვიული და ემოციურია, ყველაფერს უზომოდ განიცდისო.

ერთი სიტყვით, და-ძმის მშვიდმა და პრეტენზიულმა განმარტებებმა სასამართლო კოლეგიაც და დარბაზში მყოფნიც ერთნაირად დაზაფრა და დააფიქრა.

საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობამდე არჩილ ძეგველიშვილს დისთვის უკითხავს, როგორ ფიქრობ, მშობლების გარეშე ხომ უკეთესად ვიცხოვრებთო. საქმეში არის ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც განსასჯელის შერაცხადობას ადასტურებს. დღევანდელ სასამართლო პროცესზე სწორედ ამ დასკვნის შემდგენელი ფსიქიატრ-ექსპერტები დაიკითხებიან.

**"ნინო აჩიკოს გვერდზე უნდა იჯდეს, ისინი ერთნაირად დამნაშავეები არიან, გადასარევი მშობლები ჰყავდათ, უბრალოდ, არ უყვარდათ ისინი... დახოცეს და დაისვენეს... მკვლელობის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში ნინო ჩემთან ცხოვრობდა, მაგრამ მის თვალზე ცრემლი არ მინახავს",** - გვითხრა განსასჯელის მამიდამ.

# სჭირდება თუ არა საქართველოს კანონი რელიგიის შესახებ

სოფიკო ბუკია

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული, "სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ" კანონპროექტი ისევ განხილვის საგნად რჩება. აღმოჩნდა, რომ იგი თითქმის არავის მოსწონს, იუსტიციის სამინისტროს გარდა. კანონპროექტმა საპატრიარქოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების უკმაყოფილება გამოიწვია. პრეზიდენტის დირექტივით შექმნილი კანონპროექტი ვერც მკალავიშვილის გემოვნებას აკმაყოფილებს, ვერც ბაპტისტებისას და ვერც იეღოველებისას.

გვჭირდება თუ არა კანონი რელიგიის შესახებ? რამდენად მისაღებია იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა? რა იურიდიული სტატუსი უნდა ენიჭებოდეს რელიგიურ ორგანიზაციას?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამ თემებზე სასაუბროდ მრგვალ მაგიდასთან არასამთავრობო ორგანიზაციები, იუსტიციის სამინისტროსა და რელიგიურ კონფესიათა წარმომადგენლები, მეცნიერ-თეოლოგები შეკრიბა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც შეკრებილი საზოგადოება ერთხმად შეთანხმდა, ის არის, რომ რელიგიის შესახებ კანონი საქართველოს არ სჭირდება. ანუ ქვეყანაში, რომლის კონსტიტუცია საკუთარ მოქალაქეს სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას აძლევს, სხვა დამატებითი გარანტიები უადგილოა. **"არის თუ არა საჭირო კანონი? ამაზე ცალსახა პასუხი არ გვაქვს. მე ვიცი, რომ საჭიროა რელიგია და მისი დაცვა. თუ ამას ცალკე კანონი დაარეგულირებს, მაშინ იგი საჭიროა, თუ სამოქალაქო კოდექსში შესწორებებია საკმარისი, კი ბატონო. უბრალოდ, გვინდა, გვქონდეს იურიდიული ქოლგა, რომ მშვიდად გავაგრძელოთ ჩვენი საქმიანობა,"** – ასე გამოხატავს თავის პოზიციას ბაპტისტი მოძღვარი მალხაზ სონღულაშვილი. ამ კანონის არსებობის წინააღმდეგია პარლამენტარი, "ახლი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძეც, რომელიც ამ შეხვედრას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიწვევით დაესწრო. **"რაიმე კანონის შექმნა მაშინაა საჭირო, როცა ვაკუუმია შექმნილი კანონმდებლობაში. მე ამგვარს ვერაფერს ვხედავ. რელიგიის კანონი საქართველოს არ სჭირდება,"** - აცხადებს იგი.



იური ლობოდინის ფოტო

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა აზრით, გამოსავალი მარტივია: სამოქალაქო კოდექსის მეორე თავში შესაბამისი დამატებები უნდა შევიდეს, რომლებიც, არასამეწარმეო პირების გვერდით, რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისა და შექმნის პროცედურულ საკითხებს განსაზღვრავს. რელიგიური ორგანიზაცია, ახალგაზრდა იურისტთა აზრით, უნდა დარეგისტრირდეს, როგორც კერძო სამართლის პირი.

დიდი დისკუსია გამოიწვია იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულმა კანონპროექტმა, განსაკუთრებით კი, ერთ-ერთ მუხლში ნახსენებმა "არაკეთილსინდისიერმა პროზელიტიზმმა". **"თუ კი ამ მუხლში საუბარია მატერიალური და სოციალური შეღავათების შეთავაზებით ადამიანის გადაბირებაზე, რატომ არ ეკრძალებათ ეს უკანასკნელი პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მუდმივად ამით არიან დაკავებულნი?"** - უკვირთ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს და მიიჩნევენ, რომ კანონში ამგვარი ჩანაწერი ქველმოქმედების არაპირდაპირ აკრძალვას ნიშნავს. ამგვარი აზრისაა "თავისუფლების ინსტიტუტიც": **"ეს ნიშნავს ადამიანის სულში ხელის ფათურს,** აღნიშნავს გიგა ბოკერია. **"ეს მუხლი საშუალებას აძლევს ნებისმიერ 50-კაციან ჯგუფს რელიგიური გაერთიანების სახელი დაირქვას,"** - აცხადებს საპატრიარქოს წარმომადგენელი გიორგი ანდრიაძე. **"არაკეთილსიერი პროზელიტიზმი - კანონში ამგვარი ჩანაწერი საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, იგივე ქმედებები განახორციელოს რელიგიურ გაერთიანებათა მიმართ, რასაც მკალავიშვილი მიმართავს,"** - ასეთია იეღოველთა ადვოკატის მამუკა ჭაბაშვილის პოზიცია.

იუსტიციის სამინისტროს პროექტი რელიგიურ გაერთიანებებს სტაჟიანებად და უსტაჟოებადაც კი ჰყოფს; ანუ ამ კანონპროექტის მიხედვით, იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე 50 წლის განმავლობაში მოქმედებს, შეუძლია თავის დასახელებაში სიტყვა "საქართველო" შეიტანოს. კანონპროექტში არ არის მითითებული, როგორ აპირებს იუსტიციის სამინისტრო რელიგიურ გაერთიანებათა ასაკის დადგენას, მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც წლების მანძილზე ათეიზმი მძვინვარებდა და ბევრი რელიგიური გაერთიანება, ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში მოღვაწეობდა. ასევე, არ მომხდარა მათი, როგორც რელიგიური ორგანიზაციების, რეგისტრირება დამოუკიდებელ საქართველოშიც. **"ამგვარი რამ პირველად მესმის, სად გაგონილა რელიგიის სტაჟი,"** - აცხადებს თეოლოგი, პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

ახალგაზრდა იურისტები მიიჩნევენ, რომ რელიგიური პრობლემები, რომლებიც დღეს საქართველოში არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების გულგრილობის "დამსახურებაა" და არაფერი აქვს საერთო კანონის არასრულყოფილებასთან.

გუშინდელი მრგვალი მაგიდის მონაწილეები კიდევ არაერთ შეხვედრას გეგმავენ და იმედოვნებენ, რომ საბოლოოდ შემუშავდება კანონპროექტში შესატანი შესწორებები, რომლებიც მისაღები იქნება ყველა რელიგიური გაერთიანებისა თუ მთელი საზოგადოებისთვის, მერე კი შეჯერებულ კანონპროექტს განსახილველად პარლამენტს წარუდგენენ.

უცხოეთი

# მდიდარმა მიწათმფლობელმა 10 წლის გოგონა იყიდა

პაკისტანის ერთ-ერთ პროვინციაში -- სინდში, მდიდარმა მიწათმფლობელმა 10 წლის შინამოსამსახურე გოგონას 830 დოლარი გადაუხადა და ცოლად იყიდა. ერთგული შინამოსამსახურე უსიტყვოდ დაემორჩილა ბატონის ბრძანებას და საქორწინო კონტრაქტი საკუთარი თითის ანაბეჭდით დაადასტურა.

გოგონას მამამ, რომელიც ქუჩაში ბოსტნეულის ვაჭრობით არჩენს ოჯახს, ქალიშვილი მოიტაცა და პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრს საჩივარი გაუგზავნა. პაკისტანში მოქმედი კანონის თანახმად, რომელიც კრძალავს არასრულწლოვან ბავშვთა ქორწინებას, მდიდარ მიწათმფლობელს სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს.

პაკისტანში ბავშვებით ვაჭრობა საკმაოდ ხშირია. მოსახლეობის 33,5 პროცენტი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, მათი თვიური შემოსავალი, დაახლოებით, 16 დოლარია. ზოგიერთი მშობელი, უბრალოდ, იძულებულია, ფულის არქონის გამო, საკუთარი შვილები გაყიდოს: გოგოები – ცოლებად, ბიჭები – მონური შრომის შესასრულებლად.

# საჯარო გაუპატიურება პაკისტანში

პაკისტანში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მასტოს ტომის წარმომადგენელთა წინააღმდეგ.

პაკისტანის ერთ-ერთი პროვინციის სოფელ მირვალაში მასტოს ტომის წარმომადგენლებმა 18 წლის გოგონას საჩვენებელი გაუპატიურების სცენა მოაწყვეს, რომლის ძმამაც ანალოგიური აქტი მირვალელ ქალთან ჩაატარა.

გოგონა აიძულეს, შიშველს გაევლო ათასობით ადამიანის წინ, რათა მასტოს ტომს მიყენებული სირცხვილი ჩამოებანა. მასტოს ტომის წევრებმა გოგონას ოჯახს თავიდანვე შესთავაზეს, თავისი ნებით აერჩიათ მსხვერპლი, ვისაც საჩვენებლად გააუპატიურებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მთელი სოფლის ქალების გაუპატიურებით იმუქრებოდნენ. პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ამ აქტის შემსრულებელთა წინააღმდეგ. პაკისტანში ასობით ტომი ცხოვრობს. ბევრი მათგანი დღესაც იცავს ე.წ. ღირსების კოდექსს, რომელიც სისხლის აღების წესსაც ითვალისწინებს.

# მოსკოველი ათეისტები სასამართლოს მიმართავენ

ათეისტები სასამართლოს დახმარებით ეცდებიან სკოლებში "მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლების" სწავლების გაუქმებას.

მოსკოვის ათეისტური ორგანიზაციის წარმომადგენლები რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოსკოვის ეპარქიასა და მოსკოვის განათლების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ.

ხელშეკრულება მოსკოვის ოლქების სკოლებში "მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლების" შესწავლას ითვალისწინებს. მოსკოველი ათეისტების აზრით, ამით ირღვევა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, კერძოდ, ფედერალური კანონები განათლებისა და სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ და მთელი რიგი საერთაშორისო აქტები. მოსკოვის ათეისტური ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, წელს თებერვალში მათ ამ პრეტენზიით სასამართლოს მიმართეს, თუმცა მოსამართლემ "ფორმალურ ბრძანებაზე დაყრდნობით" ორჯერ თქვა უარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე. მან მომჩივანებს განუცხადა, რომ ისინი "მაინც ვერ შეძლებენ სასამართლო პროცესის მოგებას". მოსკოვის ათეისტთა საზოგადოების თავმჯდომარის ალექსანდრე კრაინევის თქმით, მოსკოვის ეპარქიასა და განათლების სამინისტროს შორის დადებული თანამშრომლობის ხელშეკრულება წარმოადგენს "საერო განათლების საქმეში ჩარევას". მისი აზრით, გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოსკოვის ოლქის სკოლებში ისწავლებოდეს "მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლები" "სხვა რელიგიის აღმსარებლების უფლებების შევიწროებას" გულისხმობს და, აგრეთვე, მოცემული კურსის სკოლებში შესწავლის გადაწყვეტილების მიღებით ირღვევა მშობელთა უფლებები, ვისთან შეუთანხმებლადაც მიიღეს ეს ხელშეკრულება.

# ახალი დეტალები პიტერ შოუს გატაცების სურათის შესავსებად

სოფიკო ჩხაიძე

*ინგლისელი ბანკირი კვლავ გამტაცებელთა ტყვეობაშია. ძალოვანები, რომლებიც უახლოეს მომავალში გვპირდებოდნენ პიტერ შოუს გათავისუფლებას, დღეს სხვაგვარად საუბრობენ. საკუთარ უუნარობას ისინი გამტაცებელთა პროფესიონალიზმით ხსნიან.*

პიტერ შოუს გატაცებიდან ორი კვირის თავზე შესაძლებელია მხოლოდ თვით გატაცების დეტალების დაზუსტება, რაც გამოძიებას მრავალმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას აძლევს. კერძოდ, გატაცების ფაქტის უშუალოდ შემსწრე პოლიციელთა დაკითხვამ ეჭვმიტანილთა წრე გარკვეულწილად შეავიწროვა, თუმცა, ამასთან ერთად, გამოძიების წარმატებით დაგვირგვინების შანსებიც შეამცირა.

მოგეხსენებათ, პიტერ შოუ იოსებიძის ქუჩაზე სამმა პოლიციელის ფორმაში გამოწყობილმა ბოროტმოქმედმა გააჩერა. შემთხვევის ადგილზე ნამდვილი პოლიციელებიც გამოჩდნენ, თუმცა, მათ გამოჩენას გამტაცებელთა მეორე მანქანის მიახლოვება მოჰყვა. მეორე მანქანიდან გადმოსული კამუფლიაჟიანი დამნაშავეები მაყუჩიანი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. გაუთვალისწინებელ შემთხვევაში სწრაფი რეაგირება, პროფესიონალური ნილბები, რომელზეც გამტაცებლებს რკინის მუზარადებიც ეხურათ, შეიარაღების ტიპი — ეს ყველაფერი სამართალდამცველებს აფიქრებინებს, რომ გატაცება სპეცსამსახურების თანამშრომელთა მიერ იყო დაგეგმილი, ორგანიზებული და განხორციელებული. გამოძიება ასევე არ გამორიცხავს, რომ პოლიციელთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დანაშაულის ადგილზე გამტაცებელთა სხვა დამატებითი ძალებიც არ გამოჩნდებოდა. ანუ ვერსია, რომ პიტერ შოუს გატაცებაში სულ შვიდი კაცი მონაწილეობდა, შესაძლოა, სულაც მცდარი იყოს.

სამართალდამცველთა აზრით, გატაცების ოპერაციის სპეცსამსახურელთა მიერ განხორციელებაზე უნდა მიუთითებდეს არა მარტო გამტაცებელთა ალღურვილობა, ორგანიზებულობა და ქცევის მანერა, არამედ სიმშვიდეც, რომლითაც ისინი მოქმედებდნენ.

როგორც თვითმხილველები ყვებიან, მანქანა, რომელიც პოლიციამ გატაცებიდან რამდენიმე საათში დიდი დიღმის დასახლების ერთ-ერთ კორპუსთან აღმოაჩინა, იქ რამდენიმე პირმა მიიყვანა. მანქანა დააყენეს, შემდეგ ერთ-ერთმა აუჩქარებლად, გულმოდგინედ გაწმინდა მანქანის შიგთავსი, სკამები, საჭე, მინები, კარებები, სახელურები. მერე მანქანა ჩაკეტეს და გასაღები იქვე სადარბაზოში, ლურსმანზე ჩამოკიდეს.

ასეთი სიმშვიდე პროფესიონალიზმისა და საკუთარ ძალების რწმენის შედეგია, -- მიიჩნევენ სამართალდამცველები და თვლიან, რომ სწორედ მშვიდი, გააზრებული მოქმედება იცავს პროფესიონალ ბოროტმოქმედებს შეცდომებისგან. შეცდომების მინიმალური რაოდენობა კი კიდევ უფრო ართულებს გამოძიებას.

პიტერ შოუს გატაცების საქმის გამოძიება კი უამისოდაც საკმაოდ რთული გახლდათ. საქართველოში უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ თავისი ექვსწლიანი მოღვაწეობის მანძილზე მან აქ ბევრი მტერი შეიძინა და მათ რიცხვში მხოლოდ გაკოტრებული ბანკების მფლობელები როდი არიან. ინფორმირებული წყაროს ცნობით, პიტერ შოუს "აგრობიზნესბანკის" მმართველობის პერიოდშიც ბევრი გაუნაწყენებია, რომელთა შორისაც არამარტო ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან. თუ სამეთვალყურეო საბჭოს მასთან წმინდა პროფესიონალური, საბანკო დარღვევების გამო ჰქონდა უთანხმოება, ბევრი - საქართველოს მასშტაბით მილიონერი ბრიტანელის მხრიდან - "გადაგდებას" უჩივის. თანხები კი ამ შემთხვევაში ისეთი სახელდება (ასიათასობით დოლარი), რომ სულაც არ არის გამორიცხული, სამშობლოში დასაბრუნებლად გამზადებული შოუ სწორედ ამ ფულის დაბრუნების მსურველებმა გაატაცებინეს.

თუ ასეა, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ პიტერ შოუს ისე განახორციელებინონ სასურველი საბანკო ოპერაცია და ისე გაამგზავრონ სამშობლოში, რომ ჩვენ ამის შესახებ ვერაფერი შევიტყოთ.

ჯერჯერობით კი, სამართალდამცველები ძიებას აგრძელებენ და თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ ბრიტანეთის მოქალაქის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება იმას, რომ აქამდე გამტაცებლები არავის დაკავშირებიან და შოუს გათავისუფლების პირობებიც არ წაუყენებიათ, გამოძიება ამასაც მათი პროფესიონალიზმით ხსნის და ამბობს, რომ არც ერთი ჭკუათმყოფელი ბოროტმოქმედი არ გადადგამს მომდევნო ნაბიჯს, სანამ არ დარწმუნდება, რომ მომხდარის გამო ძირითადი აჟიოტაჟი ჩაცხრა.


სატელევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისერჩი

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

# ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებული პატიმრობაში დატოვეს

## "AES თელასში" რევიზიის დასრულებამ, შესაძლოა, ბევრი რამ შეცვალოს

*თბილისის საოლქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია "AES თელასის" ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის, მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატის პრეტენზიები და ძალაში დატოვა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს გადაწყვეტილება დავით მჭედლიძისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ.*


დავით მჭედლიძე კვლავ პატიმრობაში დატოვეს

სოფიკო ჩხაიძე

დაცვის პოლიციის თანამშრომელი დავით მჭედლიძე გამოძიებამ ლომინაძის მკვლელობიდან თვენახევრის შემდეგ, 25 სექტემბერს დააკავა, როცა დაკითხვაზე გამოძახებული ნებით მივიდა თბილისის პროკურატურაში. 27 სექტემბერს მას უკვე ნიკა ლომინაძის განზრახ მკვლელობაში წაუყენეს ბრალი და მეორე დღესვე ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მჭედლიძეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ჯერ ჯერობით გამოძიებას მჭედლიძის ბრალეულობის დამადასტურებელი ერთადერთი, თუმცა - ძალზე წონიანი, სამხილი აქვს. კერძოდ, ერთადერთი ტყვია, რომელიც ნიკა ლომინაძეს თავში ესროლეს და რომელიც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა, არაერთი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მჭედლიძეზე განპიროვნებული მაკაროვის სისტემის იარაღიდანაა ნასროლი. ექსპერტიზის შედეგები კიდევ უფრო სარწმუნო გახდა მას შემდეგ, რაც გამოძიებაში ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს სპეციალისტები ჩაერთვნენ და ქართველი კოლეგების აზრი დაადასტურეს. თავიანთი დასკვნის უეჭველობა FBI-ს ექსპერტებმა წერილობითაც გაამყარეს – თბილისის პროკურატურაში ფაქსით გამოგზავნილი შეტყობინების თანახმად, მოცემული ტყვიის გულის მიხედვით იარაღის იდენტიფიკაციაში ცდომილება შეუძლებელია.

საინტერესოა მოვლენათა მსვლელობა, რომელმაც გამოძიება დავით მჭედლიძის იარაღამდე მიიყვანა. ქართველმა ექსპერტებმა შემთხვევის ადგილზე ნაპოვნ ტყვიის გულას ექსპერტიზა ჩაუტარეს, მაგრამ იარაღისთვის ექსპერტიზის შედეგების მიხედვით კი არ მიუკვლევიათ, არამედ მას საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას მიაგნეს. გამოძიებამ მკვლელობის ადგილის სიახლოვეს, იმ ადგილებში, სადაც ლომინაძეს ხშირად ხედავდნენ, იარაღიანი ხალხის ძებნა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ ავტოსადგომს, რომელზეც მკვლელობის ღამეს ლომინაძემ მანქანა დააყენა, მისი მეპატრონის, რობერტ ოქუაშვილის, დაცვის სამი წევრი მეთვალყურეობდა; ერთ-ერთი მათგანი გახლდათ დავით მჭედლიძე. სამივეს ტაბელური იარაღი ჰქონდა. სამივე მათგანს, შემოწმების მიზნით, საკუთარი პისტოლეტებიდან ორ-ორი ტყვია ასროლინეს. ორი იარაღიდან გასროლილი ტყვიის გულები არაფრით ჰგავდა მკვლელობის ადგილზე ნაპოვნს. მჭედლიძის იარაღიდან ნასროლი კი – ძალიან. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ეჭვი დადასტურდა. სასამართლოს ბრძანების საფუძველზე გამოძიებამ მჭედლიძის იარაღი ნივთმტკიცების სახით დაურთო სისხლის სამართლის საქმეს. თვით მჭედლიძე მოწმედაც კი დაკითხეს. მან სწორედ ამ დაკითხვის დროს აღიარა, რომ იარაღი არავისთვის უთხოვებია და არც დაუკარგავს. მიუხედავად შეგროვებული მასალებისა, დავით მჭედლიძე გამოძიებას მანამ არ დაუკავებია, სანამ ამერიკელი ექსპერტების დასტური არ მიიღო.

მჭედლიძე ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაბარდა სამართალდამცველებს. სხვათა შორის, გამოძიების მოთხოვნებს ის მანამდეც მორჩილად ასრულებდა: უყოყმანოდ მისცა ჩვენება მოწმის სახით დაკითხვისას და პირველი მოთხოვნისთანავე ჩააბარა სატაბელო იარაღი. მისი ამგვარი მორჩილება მაშინ, როცა იცოდა, რა დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი, თვით გამომძიებლებსაც აკვირვებთ, ბრალდებულის ადვოკატს ზურაბ ტაბიძეს კი იმის მტკიცების საფუძველს აძლევს, რომ მჭედლიძე არსად გაიქცევა და არც გამოძიების მსვლელობას შეუშლის ხელს. მან ასეთი არგუმენტაციით გაასაჩივრა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მჭედლიძისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. თანაც, ადვოკატი მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველს იმაშიც ხედავს, რომ მჭედლიძის კმაყოფაზე არიან სულიერად ავადმყოფი და და მოხუცი, ასევე ავადმყოფი ბებია. თუმცა, მოსამართლე ჯორბენაძემ ცალსახად იხელმძღვანელა საპროცესო კოდექსის მითითებებით, რომლის მიხედვით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ბრალდებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უფარდებენ წინასწარ პატიმრობას, თუ იგი ფეხმძიმედაა, ჰყავს ჩვილი ბავშვი, მძიმედაა ავად, ან 60 წელსაა გადაცილებული.

**"ეს საპროცესო კოდექსი გადასაგდებია",** — ამბობს ზურაბ ტაბიძე, რომელიც, მართალია, მოსამართლეს უკანონო ან უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანაში არ ადანაშაულებს, მაგრამ აცხადებს: **"მოსამართლეს უნდა ჰყოფნოდა გამბედაობა და სხვაგვარი გადაწყვეტილება გამოეტანა. მაგრამ, არა უშავს, მე ბრძოლას ახლა ვიწყებ."**

უკვე დადგენილია, რომ მჭედლიძის ბებიის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ ტანსაცმელზე აღმოჩენილი სისხლის ლაქები, ბრალდებულის მტკიცების თანახმად, ნამდვილად რქოსანი პირუტყვისაა. მაგრამ, გამოძიება ამერიკიდან ჯერ კიდევ ელის სხვადასხვაგვარი ექსპერტიზის დასკვნებს. კერძოდ, ექსპერტიზაზე გაგზავნილია სკოჩი, რომლითაც მოკლულ ლომინაძეს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი თმები და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ტყვიის გულას ბიოლოგიური ექსპერტიზა უნდა ჩაუტარდეს და დადგინდეს, ეს ნამდვილად იმ ტყვიის გულაა თუ არა, რომელიც ლომინაძის სიკვდილის მიზეზი გახდა. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის გიორგი ყაჯრიშვილის თქმით, **"ამ ექსპერტიზამ, შეიძლება, შედეგი არ გამოიღოს, რადგან ტყვიის გულამ უკვე ძალიან ბევრი ადამიანის ხელში გაიარა".**

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი: გამოძიებას ამდენი ხნის შემდეგაც კი არ აქვს გამოკვეთილი მკვლელობის მოტივი. მჭედლიძესთან მიმართებაში ეჭვი მხოლოდ გაძარცვაზე შეიძლება არსებობდეს. თუმცა, რობერტ ოქუაშვილი, რომელსაც ის იცავდა, ამბობს:

**"მას ისე არ უჭირდა, რომ ფულის გულისთვის კაცი მოეკლა; მით უმეტეს, ტაბელური იარაღით. ასეთ სისულელეს არ ჩაიდენდა. ჯერ ერთი, რომ მე მას საკმაოდ კარგად ვუხდიდი; მეორეც, უფრო წესიერი ადამიანი ძნელი საპოვნელია. მე ის შვილივით მყავდა".**

რაც შეეხება გამოძიებას, მას ბოლო ორი კვირის მანძილზე მჭედლიძის დაკითხვის საშუალება აღარ მისცემია, რადგანაც სისხლის სამართლის საქმეს სასამართლო ინსტანციებში დაატარებდნენ. თუმცა, გამომძიებლები დავით მჭედლიძის პიროვნებიდან და მისი ქცევიდან გამომდინარე არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა, მჭედლიძე მართლაც არ იყოს მკვლელი და ის რაღაცას მალავდეს. გამოძიება არ გამორიცხავს იმასაც, რომ ბევრი რამ შეიძლება გაირკვეს და შეიცვალოს თვით "AES თელასში" მიმდინარე რევიზიის დასრულების შემდეგ.

# გიორგი სანაიას მეუღლე გენერალურ პროკურატურას უჩივის

გიორგი სანაიას მკვლელობიდან წელიწადზე მეტი გავიდა. მკვლელობიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, სამართალდამცველებმა დააკავეს გიორგი გელაშვილი, რომელიც მკვლელობაში ეჭვმიტანილად გამოცხადდა. მოგვიანებით, გელაშვილი უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის პასუხმა იხსნა და იგი მძიმე ბრალდებას გადაურჩა. სულ ცოტა ხანში კანონდამცველებმა შუაღამისას ახალი ეჭვმიტანილის დაკავება ამცნეს ჟურნალისტებს. დაკავებულმა გრიგოლ ხურცილავამ მკვლელობა აღიარა და იგი ბრალდებულადაც გამოცხადდა.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება ივლისში დასრულდა. ბრალდებული და დაზარალებული ახლა პროკურატურის მიერ შექმნილი 10-ტომიანი საქმის მასალებს ეცნობიან.

გიორგი სანაიას მეუღლე, ხათუნა ჩხაიძე, გენერალური პროკურატურის მისამართით, სერიოზულ პრეტენზიებს გამოთქვამს. მისი განცხადებით, პროკურატურა მის უფლებებს ლახავს და მეუღლის მკვლელობის საქმის მასალების გაცნობის საშუალებას უზღუდავს. მას არც საქმეში არსებულ ნივთმტკიცებებს აცნობენ. ხათუნა ჩხაიძის თქმით, მას გამოძიებამ მხოლოდ ვიდეოკასეტის ნახვის უფლება მისცა, მაგრამ მხოლოდ ერთდღიანი ვადით. არადა, ერთ დღეში სერიოზული მასალის დამუშავება შეუძლებელია.

გენერალური პროკურატურა ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ გამოძიების დამთავრების შემდეგ, 11 აგვისტოს, დაზარალებულ მხარეს 10-ტომიანი საქმიდან 9 ტომის ქსეროასლი გადაეცა, ხოლო 3 სექტემბერს მას მე-10-ე ტომის ქსეროასლიც ჩაბარდა.

პროკურატურის განცხადებით, დაზარალებულმა მხარემ განაცხადა, რომ ნივთმტკიცებებს საქმის მასალების შესწავლის შემდეგ გაიცნობდა. გამოძიება ხათუნა ჩხაიძეს და მის ადვოკატს 10, 18, 25 სექტემბერს და 1 ოქტომბერს ტელეფონით დაუკავშირდა და საპროცესო მოქმედებების განსახორციელებლად პროკურატურაში გამოცხადება სთხოვა.

გიორგი სანაიას მეუღლე ადრეც სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა გამოძიებას და ხშირად გამოთქვამდა პრეტენზიებს საქმის მასალების არასათანადოდ წარდგენის გამო. როგორც ხედავთ, გენერალური პროკურატურა ამჯერად სტატისტიკური ჩანაწერებით პასუხობს.

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის მასალების გაცნობას ბრალდებული და დაზარალებული მხარეები ამთავრებენ, რის შემდეგაც გრიგოლ ხურცილავას საბრალდებო დასკვნას გენერალური პროკურორი ხელს მოაწერს და საქმეს განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნის.

# „არ ვარ მე ხულიგანი" -გივი თარგამაძის მტკიცების გამოძიებას არ სჯერა

თავისუფლების ინსტიტუტის ერთ-ერთ ლიდერსა და ანტიკორუფციული ბიუროს წევრს, გივი თარგამაძეს, გამოძიებამ უარი უთხრა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე იმ პირების მიმართ, რომლებიც თავად სდებენ ბრალს თარგამაძეს ხულიგნობაში.

საქმე კვლავ იმ ჩხუბს ეხება, რომელიც გივი თარგამაძის ქორწილის დღეს მოხდა და რომლის გამოც ცნობილ ანტიკორუფციონერს პოლიციასა და სასამართლოებში სირბილი მოუწია.

მამა-შვილი დონაძეები, რომლებმაც ექსპერტს ჩხუბიდან ორი დღის შემდეგ მიმართეს, ირწმუნებიან, რომ გივი თარგამაძემ და მისმა მეგობრებმა სცემეს. ამის გამო სისხლის სამართლის საქმეც არის აღძრული და თარგამაძეს სასამართლომ საქმის საბოლოოდ დასრულებამდე ქალაქიდან გაუსვლელობა შეუფარდა. როგორც შევიტყვეთ, გამოძიება უკვე ამთავრებს საბრალდებო დასკვნის წერას. შედეგად, გივი თარგამაძეს სასამართლოს წინაშე თავის გამართლება ბრალდებულის პოზიციებიდან მოუწევს. თუმცა, თარგამაძე თვლიდა, რომ ამ ჩხუბის საქმე კერძო ბრალდების კომპეტენციაში შედიოდა და თავად შეიტანა კიდეც ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საჩივარი მამა-შვილი დონაძეების მიმართ. ამ საჩივრის განხილვა დღემდე იწელება. ამასობაში გივი თარგამაძემ გამოძიებას განცხადებით მიმართა, რათა სისხლის სამართლის საქმე აღეძრათ დონაძეების წინააღმდეგ, რაც, პრინციპში, ლოგიკურია; რადგან, თუ ჩხუბის დროს დონაძეების მხრიდან ორი ადამიანი დაზიანდა, გივი თარგამაძის თქმით, მისი მეგობრებიდან ოთხი კაცია დაშავებული. გამოძიებამ ამ ლოგიკით არ იხელმძღვანელა და გივი თარგამაძეს მოთხოვნაზე უარით უპასუხა. არგუმენტი შეუვალია – უარი ეთქვას, რადგანაც ამ ჩხუბის ფაქტზე იგი თავად არის ბრალდებული.

# მშობლების მკვლელს საბოლოო განაჩენს რამდენიმე დღეში გამოუტანენ

*უზენაესი სასამართლოს მიერ ორი თვის წინ გამოტანილი 20-წლიანი პატიმრობის განაჩენი 19 წლის მსჯავრდებულმა, არჩილ ძეგველიშვილმა, საკასაციო პალატაში გაასაჩივრა. მშობლების განზრახ მკვლელობისთვის გასამართლებულმა პატიმარმა საკასაციო პალატას სასჯელის შემსუბუქება მოსთხოვა.*


არჩილ ძეგველიშვილი საბოლოო განაჩენს ელოდება

ხათუნა ჭანგირაშვილი

აი, ასეთია ძეგველიშვილის ხელით დაწერილი მოკლე საკასაციო საჩივარი, რომელსაც გუშინ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა სამი საათის განმავლობაში განიხილავდა: **"რაც ჩავიდინე, იმაზე მეტი სასჯელი ჩემთვის არ არსებობს. მშობლები მართლაც მე დავხოცე, ოღონდ ამ დანაშაულის ჩადენის განზრახვა წინასწარ არ მქონია. მხოლოდ მკვდარი მშობლების ნახვის შემდეგ მივხვდი, რაც გამიკეთებია, ჩემთვის გონებას არ უკარნახია დედ-მამის მოკვლა."(სტილი დაცულია)**

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ არჩილ ძეგველიშვილმა მძინარე დედ-მამა სანადირო თოფიდან სამჯერ გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა. დანაშაულის კვალის დასაფარად, მშობლების ცხედრები ტახტის შიგთავსში მოათავსა, მეორე დღეს კი მაღაზია "წითელქუდასთან" ორი ტომარა ქვიშა იყიდა და ტახტი ქვიშით ამოავსო. სამართალდამცველებმა მკვლელობიდან მეოთხე დღეს იპოვეს ტახტში ჩამარხული ცოლ-ქმრის — ვაჟა ძეგველიშვილისა და მანანა ძიგურიშვილის გვამები.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დადგინდა, რომ არჩილ ძეგველიშვილი შერაცხადია და დანაშაულის ჩადენის მომენტში მას შეეძლო საკუთარი თავის კონტროლი.. **"ასთენიური პერსონოლოგიური აშლილობა; ასთენიური ფსიქოპატი",** – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს ფსიქიატრ-ექსპერტებმა მშობლების მკვლელს. ექსპერტიზის ამ დასკვნას გუშინ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ არჩილ ძეგველიშვილის ადვოკატები, რომლებიც სასამართლო განაჩენს არაობიექტურად მიიჩნევენ და მხარს უჭერენ პატიმრის საკასაციო საჩივარს.

პატიმრის ადვოკატები გუშინ საკასაციო პალატას უმტკიცებდნენ, რომ ძეგველიშვილი მშობლების სიმკაცრემ, მათი მხრიდან მუდმივმა ძალადობამ და აღზრდის არასწორმა მიდგომამ ჩამოაყალიბა დამნაშავედ. ადვოკატებმა გააკრიტიკეს ექსპერტის დასკვნა, რომელიც ასთენიურ სინდრომს დაავადებად არ თვლის და მას ხასიათისმიერ ნაკლს უწოდებს. გუშინ არჩილ ძეგველიშვილის დამცველი სევდია უგრეხელიძე ირწმუნებოდა: "ძეგველიშვილს ახასიათებს აფექტური სინდრომი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გამოვლინდეს და უფრო სერიოზულ დაავადებაში გადაიზარდოს. მას მშობლები ხშირად სცემდნენ, ამცირებდნენ, რამაც გამოიწვია არასრულწლოვანის დეპრესიული მდგომარეობა. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უფრო მანიაკალური სინდრომის გამოვლენასთან, რისი მიზეზიც ქრონიკული ძალადობისგან ბუნებრივად გამოწვეული შიში, აგრესია, გაქცევის სურვილი და შურისძიება გახლავთ", - ამტკიცებდა სევდია უგრეხელიძე, რომელმაც მეცნიერული კლასიკური კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოსა და კიდევ სხვა ფსიქოლოგიურ-კრიმინალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს დეტალური ფსიქოანალიზი გაუკეთა.

ერთი სიტყვით, პატიმრის ადვოკატები სასამართლოსა და წინასწარ გამოძიებას ადანაშაულებენ არაობიექტურობაში, საქმის არასრულყოფილად გამოძიებაში და მოითხოვენ, რომ საკასაციო სასამართლომ განზრახ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულით შეცვალოს. ამ ყველაფერს კატეგორიულად ეწინააღმდეგება სახელმწიფო ბრალდების მხარე, რომლის მტკიცებითაც, არჩილ ძეგველიშვილმა მშობლები სწორედ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით გამოასალმა სიცოცხლეს. **"დანაშაული ჩადენილია მათემატიკური სიზუსტით, აზროვნებასა და ლოგიკაზე დაყრდნობით. მან შეგნებულად გააკეთა საკონტროლო გასროლაც, რათა დარწმუნებულიყო რომ, მშობლები ნამდვილად მკვდრები იყვნენ. არჩილ ძეგველიშვილმა კარგად იცოდა, რომ საზარელი მკვლელობის გამო მას კანონით დასჯიდნენ, სისასტიკით მოკლულ დედ-მამას ამიტომაც მოუწყო სამარე ქვიშით სავსე ტახტში. დანაშაულის კვალიც გაცნობიერებულად მოსპო – მეორე დღეს სისხლიანი თეთრეული სახლთან ახლოს მდებარე მინდორში დაწვა."** - განუცხადა საკასაციო სასამართლოს პროკურორმა, რომელიც პატიმრის საჩივარს უსაფუძვლოდ მიიჩნევს და მის განხილვაზე სასამართლოსგან უარის თქმას მოითხოვს.

საკასაციო პალატამ გუშინ კიდევ ერთხელ დაკითხა ძეგველიშვილის მამიდა, რომელმაც ძეგველიშვილების ოჯახური ტრაგედია ძმისა და რძლის მიერ არასწორი აღზრდის მეთოდს დააბრალა. "მე დაზარალებული ვარ, ძმა და რძალი ძმისშვილმა მომიკლა. ალბათ, გიკვირთ, როგორ შეიძლება დავიცვა აჩიკო; რადგან მან, ამ ყველაფრის შემდეგ, თავის მოკვლა ვერ შეძლო და ცოცხალია, მე მას ვერ მივატოვებ. მკვლელად ის საკუთარი მშობლების უნდობლობამ, სისასტიკემ და სიმკაცრემ ჩამოაყალიბა. მას არ შეიძლება, ჯანსაღი ფსიქიკა ჰქონდეს. გთხოვთ, დაინდოთ აჩიკო და, თუ შესაძლებელია, სასჯელი ოდნავ მაინც შეუმსუბუქოთ", – ასეთი თხოვნით მიმართა სასამართლოს მსჯავრდებულის მამიდამ.

თავად პატიმარი, რომელიც ორი თვის წინ გამოტანილ განაჩენს მშვიდად შეხვდა, გუშინ ისევ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა – **"არ ვიცი, არ მახსოვს".** თუმცა, საბოლოოდ აღიარა, რომ მშობლები ნამდვილად მან დახოცა.

უზენაესი სასამართლო საბოლოო განაჩენს პატიმარ ძეგველიშვილს ხუთ დღეში გამოუტანს.

# ბანკირმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

გუშინწინ, საღამოს, "საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალის ყოფილმა მმართველმა დავით ჯინჯიხაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მოკვლეული მასალები ასეთი განცხადების საფუძველს აძლევს გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას.

დავით ჯინჯიხაძე მეუღლის სახლში, ლოჯინის ქუჩაზე იმყოფებოდა. იგი საღამოს აბაზანაში შევიდა და ცოტა ხანში ხმაურზე სააბაზანო ოთახში შესულმა ოჯახის წევრებმა იგი წაქცეული, უგონო მდგომარეობაში ნახეს. ბანკირმა თვითმკვლელობისთვის "ვოლტრას" მარკის გაზის პისტოლეტი გამოიყენა – ტყვია საფეთქელში ისროლა.

ბანკის მმართველის თვითმკვლელობის ფაქტზე მოკვლევას გლდანი-ნაძალადევის პროკურატურა ატარებს. პროკურატურა ამუშავებს თვითმკვლელობის რამდენიმე ვერსიას.

ერთ-ერთი ვერსიით, დავით ჯინჯიხაძის თვითმკვლელობა სამსახურში შექმნილ პრობლემებს უკავშირდება. პროკურატურის მონაცემებით, "საქართველოს ბანკის" გლდანის ფილიალში ჩატარებულმა რევიზიამ ბანკირის საქმიანობაში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა და იგი თანამდებობიდან დაითხოვეს. პროკურატურას ინფორმაცია "საქართველოს ბანკშიც" დაუდასტურეს. თუმცა, ვერსია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და ამიტომაც გლდანი-ნაძალადევის პროკურორი ლენა კაპანაძე მას, ჯერჯერობით, სარწმუნოდ არ მიიჩნევს. მით უმეტეს, რომ დავით ჯინჯიხაძის ოჯახის წევრებმა, კონკრეტულად - ვაჟიშვილმა ირაკლი ჯინჯიხაძემ, პროკურატურის ერთ-ერთი ვერსია – სამსახურეობრივი პრობლემების საფუძველზე თვითმკვლელობა - კატეგორიულად გამორიცხა.

თუ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის მიერ ჩატარებული მოკვლევისას კანონდამცველები მოიპოვებენ მასალებს, რომელიც დაადასტურებს, რომ ბანკირის თვითმკვლელობა გამოიწვია იძულებამ, ან მასზე განხორციელებულმა სხვა სახის ზეწოლამ, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს გენერალური პროკურატურა გირევის საგუშაგოზე დაკავებული რვა ჩეჩენი მოქალაქის რუსეთში ექსტრადაციისაგან თავს იკავებს. ეს გადაწყვეტილება პროკურატურამ მიიღო იუსტიციის სამინისტროს გუშინდელი განცხადების საფუძველზე.

გენერალური პროკურატურის საერთაშორისო განყოფილების უფროსის პაატა მსხილაძის განცხადებით, პროკურატურას იუსტიციის სამინისტრომ ექსტრადიციის შეჩერება სთხოვა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სამდივნოდან მიღებული განცხადების საფუძველზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო შიდა ქართლში კრიმინალური ვითარების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას მაქსიმალურად უწყობს ხელს. შსს პრეს-სამსახურის უფროსის პაატა გომელაურის განცხადებით, სამინისტრო სამხარეო პოლიციას უზრუნველყოფს აუცილებელი საშუალებებით - ავტოტრანსპორტითა და საწვავით. მისი თქმით, შიდა ქართლში ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდება მხოლოდ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

პაატა გომელაურის ინფორმაციით, ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში დაბრუნდა ბოლო წლებში გატაცებული უცხოური მარკის ავტომანქანები. ვლადიკავკაზის მილიციასთან ერთობლივი ოპერაციის შედეგად, თბილისში ჩამოიყვანეს 3 ავტომანქანა, მათ შორის ერთი 2002 წელს იქნა გატაცებული.

პაატა გომელაური თქმით, შიდა ქართლში ღონისძიებებს ხელმძღვანელობს მხარის პოლიციის უფროსი, ნოდარ დალაქიშვილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლაში ოჯახური ტრაგედია დატრიალდა - შვილის დაჭრისთვის მამამ მეორე შვილი მოკლა. 9 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ თუძში მცხოვრებმა, 1977 წელს დაბადებულმა როინ ქოჩაძემ ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით მხარსა და კისერში დაჭრა ძმა, 1985 წელს დაბადებული რამაზ ქოჩაძე. მამამ, 1954 წელს დაბადებულმა რეზო ქოჩაძემ, იმავე თოფიდან მუცელში დაჭრა უფროსი შვილი, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რეზო ქოჩაძე დაკავებულია. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც იმერეთის სამხარეო პროკურატურა იძიებს. **კავკას-პრესი**